



№ 152 (9318)
6 აპრილი,
ოთხშაბათი,
1986 წ.

საპროლეტარული სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო
კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ
КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან • ღირსი 8 კპ.

ფიზკულტურული
კოლექტივების
შესვენებები

გარდაქმნა სიხსნითა ძიებას, ახლებურად აზროვნებას და
მოქმედებას გულსხმობს. ეს მოთხოვნა ერთნაირად ეხება ჩვენი
ცხოვრების ყველა სფეროსა და დარგს, აქ არ არსებობს გამონაკლისი.
ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობა, შეიძლება თამამად
იტყვას, თავისი ბუნებით ცოცხალ ორგანიზმს ჰგავს, რომელიც
იზრდება და ვითარდება. იგი განუწყვეტელი იზრდება მოსახლეობის
ფართო ფენებს. რაკი ასეა, ახლისკენ სწრაფვა და მიზნობრივი
გარდაქმნა მისთვის საარსებო და აუცილებელია. მართლაც ძნელია
ვაინსერო სხვა დარგი, სადაც იმთავითვე იმდენი სიხლდ დაინერგა,
რამდენსაც ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა ითვლის — მშლ
ფიზკულტურული კომპლექსის შემოღებით დაწყებული და საოჯახო
სპორტკლავებით დამთავრებული. ამ ორ მოვლენას შორის ათეული
წლები ძევს, შედეგი კი მკაფიოდ გამოხატავს იმ წინსვლას, რომელიც
დღეს უკვე მასობრიობიდან საყოველთაო-სახალხო ფიზკულტურულ
მოძრაობაზე გადასვლის საფუძველს შეადგენს.

დას, სპორტი ადამიანის კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის
განუხრელი ზრუნვის შედეგად საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდა
ჩვენი ქვეყანაში. დღეს ხშირად გვეხსენს გამოთქმა: „ბავშვთა სპორტი“,
„სტუდენტთა სპორტი“, „სოფლის სპორტი“, „მუშათა სპორტი“...
ჩვენი სპორტის მასობრიობის გამოხატველი უკეთესი საბუთი რაღა
იქნება.
მუშათა სპორტი! რამდენი სიხლდ იშვა ამ სფეროში. ვაინსენეთ
თუნდაც ისეთი მრავალსმეტყველი მასობრივი ღონისძიება, როგორიცაა
— „მთელი ბრედით სტადიონზე!“ აღარას ვამბობთ საამქროებს
შორის შეგებრებზე, სპორტული კლუბების სპორტკლავებზე,
ტურნირებზე, რომლებსაც სისტემატურად ატარებენ პროფკავშირის
დარგობრივი კომიტეტები და ა. შ.
ამ ბოლო ხანებში საფუძველი ეყრება კიდევ ერთ ახალ ტრადიციას —
ორი ხალხმრავალი შრომითი კომპლექტის შეხვედრას, რომელიც
კომპლექსური ღონისძიებაა და სპორტის სხვადასხვა სახეობას მოიცავს.
ასეთი შეგებრების ჩატარების იდეას ჩვენს რესპუბლიკაში პირველმა
მხარის რუსთაველმა მეტალურგებმა და ქიმიკებმა დაუჭირეს. ისინი
შემოდგომაზე ჩატარებენ ამ ასპარეზობას.
მაგრამ ახალ თაონობას სხვა კომპლექტებზე უნდა მიზნდნენ. ალბათ
კარგი იქნება, თუ ასეთი შეგებრება ერთმანეთს გამოიწვევენ
თბილისელი ავიამშენებლები და ქუთაისელი ავტომშენებლები,
ცხინვალელი და თბილისელი მკერავები, სოხუმელი და გორელი
მკონსერვერები, თელაველი და ქუთაისელი სტუდენტები,
კომპლურენობები და საბჭოთა მეურნეობები, პროფტექნიკური
სასწავლებლები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები. ასეთ შეხვედრებს
დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია არა მარტო სპორტული, არამედ
ალმშრდებლობითი თვალსაზრისით. ერთნაირი ან მონათესავე დარგების
ფიზკულტურებისა და სპორტსმენების შეხვედრები ხელს შეუწყობს
კომპლექტების დახლოებას, შრომაში, სპორტში, სწავლაში
დანერგვითი სიხლდების განვითარებას, ასეთი შეხვედრა-შეგებრებების
ტრადიციად დამკვიდრებაც ხომ თავისთავად ბევრს ნიშნავს.

ნოვარშია:

- 1. ბალახის მოკეცვები ემზადებოან სპორტკლავის ფინალური ასპარე-
ზობისთვის. მე-2 გვ.
2. პიონერულ ბანაკებში გამოვლენილ დარღვევებზე რედაქციას უბახუ-
რებს თბილისის სახალხო განათლების სამმართველო. მე-2 გვ.
3. ა. ქავჭავაძის „დროება“ ფიზიკური აღზრდის შესახებ. მე-3 გვ.
4. სპეციალისტები კასპაროვ—კარპოვის მატჩ-რევანშის ირგვლივ მე-4 გვ.



სსრ კავშირის
ხალხთა
IX სპორტკლავა

ფინიში
სულ
ახლოა


პიევი. ხელბურთელ ვაჟთა სა-
სპორტკლავო შეგებრების დამთა-
ვრებამდე ორი დღით ადრე ფინა-
ლისტთა სატურნირო ცხრილი ასე
გამოიყურებოდა:

Table with 5 columns: Name, Points, etc.
რსფსრ 5 4 1 0 9
უკრაინა 5 4 0 1 8
მოსკოვი 5 3 1 1 7
საქართველო 5 3 0 2 6
ბელორუსია 5 2 0 3 4
დენინგრადი 5 1 1 3 3
ლიტვა 5 1 1 3 3
მოლდავეთი 5 0 0 5 0

ბოლოსწინა ტურში, საქართვე-
ლოს ხელბურთელები მოლდავეთის
გუნდს ხელბურთდნენ. გამარჯვება ან-
გარიშით 28:25 ჩვენი რესპუბლიკის
წარმომადგენლებმა მოიპოვეს. ამ-
რიგად, საქართველოს ნაკრებს რუ-
სეთის ფედერაციის ხელბურთელებ-
თან შეხვედრის წინ 8 ქულა აქვს.
უნდა აღვნიშნოთ ჩვენი რესპუბ-
ლიკის სპორტსმენთა კარგი თამა-
ში ფინალში — მათ ზედხედ ოთხი
შეხვედრა მოიგეს.

სანა
კორტაზე
სიწყნარაა

ბუშინ მოსკოვში ლუჟნიცისა და
სპორტსაზოგადოება „შახტიორის“
(სოკოლნიკოვი) კორტებზე დაი-
წყო სამუშაოთა კავშირის ხალხთა IX
სპორტკლავის პროგრამით გათე-
ლისწინებული ჩოგბურთელთა გუ-
ნდური ტურნირი, რომელშიც ქა-
ლთა 13 და ვაჟთა 14 კომპლექტი-
ვი მონაწილეობს.
წლევანდელი შეგებრების დებუ-
ლებაში ბევრი სიხლდა შეტანილი.
პირველ რიგში მკაცრად არის გა-
ნაზღვრული ასპარეზობაში მონა-
წილეთა ასაკობრივი ცენზი — 23
წელი. მაგრამ ეს კიდევ არ არის
ყველაფერი. გუნდის ხუთი მონა-
წილიდან ორის ასაკი 21 წელს არ
უნდა აღემატებოდეს.
ვაჟები და ქალები სასპორტკლავო
ტურნირში ცალკეადაც ასპარე-
ზობენ და ქულებსაც ამის შე-
საბამისად იღებენ. გუნდურ ჩათე-
ლოში პირადი ასპარეზობის (გი
10 ავეისტოს დარეგება) შედეგებიც
შევა. და კიდევ ერთი სიხლდ —
წინათ მონაწილეთა კენქისურა შე-
გებრების დაწყებამდე კარგა ხნით
ადრე ხდებოდა. წლელს კი... წი-
ლისურა გუშინწინ ჩატარდა.
გაუშინ გუნდური ტურნირი და-
იწყა.




ვაიოთხა პარტია

ანატოლი კარბოვა ამ პარტია-
შიც ნიშნოვების დაცვას მიმართა.
რით, არის მისი ეს „სიციუტე“
გამოწვეული, ძნელი სათქმელია;
არადა, ფაქტია, რომ ვაიო კასპა-
როვი გაცილებით უკეთეს ერკვევა
ამ დებოტში. თავად განსაჯეთ, ამ
მეტოქეთა ხანგრძლივ დავაში ეს
დასაწყისი უკვე მერვედ გათამა-
შდა. როგორც იცით, სამი პარტია
კასპაროვა მოიგო, სამი ყაიმით
დამთავრდა. ამ მატჩ-რევანშის მე-
ორე პარტიაში მსოფლიოს ექსპე-
მინიონი ძლივს გადაურჩა. დამარ-
ცხებაც. და აი, ახლაც, მეოთხე
პარტიაში, რომელიც 41-ე სვლაზე
გადაიღო, მსოფლიო ჩემპიონის
ზედმეტი (და ისიც გამსე-
ლელი) პაიკი და აშკარად უკე-
თესი პოზიცია აქვს. ინგლისელმა
დიდოსტატებმა ტონი მილსმა და
ნიიჯელ შორტმა ისიც კი აღნიშნეს,
რომ კარბოვა შესაძლოა თამაშის
განუახლებლად დათმოს ეს პარ-
ტია. რა აზრისაა თვით კარბოვი?
ამას მალე გავიგებთ...

ლდ3 კდ7 13. c4 მე7 14. 0-0 გე8
15. მბ3 მ:ც4 16. კ:ბ7 გ:7 17. კა6
მე5 18. ლე3 მ:ც4 19. ლე4 მ:ბ6 20.
ლდ3 გ:ბ6 21. კა3 კ:ბ8 22. კ:ც8
მ:ც8 23. გ:ფ1 ლ:დ3 24. გ:დ3 გ:ფ8
25. გად1 ფ6 26. მ:ბ4 გ:ბ6 27. კ:ც5
გა6 28. მ:ბ5 გ:ბ6 29. კ:ე7 მ:ე7 30.
გ:დ7 მე6 31. ე:ა7 მ:ფ8 32. ა4 გ:ბ8
33. ე:მ5 34. მეფ2 ე5 35. გ:ბ3
მეფ7 36. ე:ც3 გ:ბ8 37. ე:ც6 ე:ც6
38. მ:ც7 მე6 39. მ:დ5 მეფ6 40. ა5
ე4. აქ პარტია გადაიდო. თავისი
41-ე სვლა ჩიწერა გ. კასპაროვა.

აი, ამ პოზიციაში გადაიდო მეოთხე
პარტია.



ბუშინ თამაშის განუახლებლად
კარბოვა თავი დამარცხებულად
ცნო. მატჩის განგარიშია 2,5:1,5
კასპაროვის სასარგებლოდ.

კასპაროვი — კარპოვი

მეოთხე პარტია
ნიშნოვების დაცვა
1. d4 მ:ფ6 2. c4 ე6 3. მ:ც3 კ:ბ4
4. მ:ფ3 ც5 5. გ3 ც:დ 6. მ:დ4 0-0
7. კ:გ2 დ5 8. ლ:ბ3 კ:ც3+ 9. ბ:ც
მ:ც6 10. ც:დ მ:ა5 11. ლ:ც2 მ:დ5 12.

დედაბუნება გვიხმობს

იქ, სადაც ზღაპრული სილამაზაა

ივლის-აგვისტოში, როგორც ამას სტატისტიკური მონაცემები მოწმობს,
ყველაზე ხალხმრავლობა კურორტებზე, მაგრამ ამ თვეებში ქვეითი ტუ-
რნიშის მოუვარულეხსაც ბევრგან მოპოვებულ თვალს, ეს ის ადამიანები
არაიან, რომლებსაც სწამთ, რომ ზღაპრისათვის პირისპირ შეხვედრას, ბუნე-
ბის წიაღში დახვეწებას ვერაფერი შეეძლება.
ზაფხულში, ტრადიციულად უამრავი სტუმარი მუხავს ფაზე-ხევსურეთს —
მუდამ ხალხმრავლობა ტურისტულ ბილიკებზე. დღეს ჩვენ გათავაზობთ
ერთ საინტერესო მარშრუტს, რომლის გავლას ტურისტებში რამდენიმე
დღეს ანდომებენ და შინ დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ბრუნდებიან.

თბილისი — ბარისახო — დათვის ჭვრის უღელტეხილი — მდ. არღუნი
— ჭანჭახის უღელტეხილი — მდ. ჭანჭახის წყალი — ს. ხახაზო — არ-
ღოტი — მუცო — შატლი — თბილისი.

თბილისიდან ტურისტები მიდიან
ავტომანქანით. საქართველოს საბე-
ხდრო გზით აღინ სოფელ უჩინვე-
ლამდე, გაივლიან ზღაპრული სილა-
მისის ფშავის არაგვის ხეობას, გა-
დალახავენ უღელტეხილ დათვის-
ჯვარს (2670 მ) და ჩამოხტებიან
მდინარე არღუნთან (მანძილის გა-
ვლას უნდა 7 საათი).

მარშრუტის ფეხით სავალი ნაწი-
ლი იწყება მდინარე არღუნის პირ-
ველ ხიდან და მიდის გლაციოლო-
გიური პუნქტისაკენ (ხილის მახ-
ლობლად მდებარე ბეტონის ნაგე-
ბობა). აქედან აღმოსავლეთის მი-
მართულად, ქომაგის მთის ქედის-
აკენ, ციცაბოდ დაქანებულ განი-
ერ გელზე უღელტეხილ ჭანჭახის-
საკენ (2860 მ) მიემართება ბილიკი,
რომლის გავლას 1 საათი უნდა. კიდე-
ვე 1 საათი და ვეშვებით მდ. ჭანჭახის-
წყლის ხეობაში. ამ ხეობაში 2
საათის სიარულის შემდეგ მთის
ძირში გამოჩნდება ძველებური ხე-
გსურული სოფელი ზემო ხახაზო.
აქ დაბანაკება საჭირო.

პირველ დღეს ტურისტები 10
კმ-ს გაივლიან.
ზემო ხახაზოდან ნახევარ საათში
ვეშვებით სოფ. ქვემო ხახაზომდე
და ამ სოფლის დათვალიერების შე-
მდეგ ვაგრძელებთ გზას სოფელ
არღოტისაკენ, რომელიც მდინარე
ანდაკის ველის ზემოთ, კლდოვან
კუნძულზეა გაშენებული. იქამდე 2
საათის სავალია. კიდევ 2 საათი და
მივადგებით სოფელ მუცოს (თორ-
ღვის ციხე). სვლას იმავე დღეს
გავაგრძელოთ გზა ქვეითი, სოფელ
ანატროამდე (მდინარე ანდაკისა
და არღუნის შესართავამდე, სადაც

არის ძველი სამარხი). აქ შეიძლე-
ბა დაბანაკება.

მეორე დღეს ტურისტები 22 კმ-ს
გაივლიან.

მდინარე არღუნის სათაისკენ თუ
კიდევ 3 კმ-ს გაივლით, ავალი
სოფ. შატლიში.

შუალისას შემხვედრი მანქანით
უკვე შეიძლება დაბრუნდნენ თბი-
ლისში (მესამე დღე).

ქვეითი მარშრუტის საერთო სიგ-
რძე 35 კილომეტრია.

ეს მარშრუტი ქვეითი ტურისტების
მოყვარულთათვის, თუ შეიძლება
ასე ითქვას, სამოთხეში მოგზაუ-
რობას ჰგავს. მოგზაური ხან ზე-
ციას უახლოვდება, ხან ხევ-ხევებ-
ში ჩადის, მას ხიბლავს ზეაილი და
ბუშბერაზი ბუნება: თელაშუღდა-
მი, წამახული ჭმუხები, ალბური
მდელოები, მთის ნაქალაქები, ჩქა-
რი მდინარეები, ხეობები და განუ-
მეორებელი შატლი, ცადატკორ-
ცინილი მუცო.

კლდზე წამოართული შატლი,
თავისი საცხოვრებელი ციხე-სიმაგ-
რებით, მალაო მთების ფონზე,
კომპაქტურობით, სიმკაცრით, საო-
ცარი სილუეტითა და შინაგანი
დინამიზმით თეატრალურ დეკორა-
ციას მოგაგონებს.

შთაბეჭდავი ამაზე აღმართუ-
ლი მუცოს ანსამბლიც. უმრავლე-
სობას უნახავს ეს საოცრება, მაგ-
რამ ბევრმა, სამწუხაროდ, მხოლოდ
გამოცემით, წყაითხულითა და
ფოტოსურათებით თუ იცის რო-
გორია ეს ქველები. ათასჯერ გაგო-
ნიოს კი მოგესვენებთ, ერთხელ
ნახავს სჯობია.



საპროლეტარული
ფიზკულტურისა და
სპორტის
სახელმწიფო
კომიტეტისა და
ფიზკულტურისა და
სპორტის
კომიტეტის
ინიციატივით
გოგაშო.
პიონერთა
ბანაკების
დამსვენებელთა
შესვენება
გამორჩენილ
ვაიბარან
სპორტსმენებთან.

იხ. მე-4 გვ.

9 აგვისტოს, 14 საათზე, ჭადრაკის სახალხო (ლენინის ქუჩა, № 37)
მოწყობა საქართველოს სსრ IX საზაფხულო სპორტკლავის შედეგების
შემამაგებელი სხდომა.
რეგისტრაცია 13 საათიდან.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპორტაპიადის ფინალში

ჩვენს რესპუბლიკაში პირველად თორმეტი წლის წინ ქუთაისში ჩამოყალიბდა სპორტის კიდევ ერთი ახალი სახეობა — ბალახის ჰოკეი. დიან ჩვენთვის ახალი, თორემ თანამედროვე ბალახის ჰოკეის მხგავსი თამაშები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში არსებობდა ეგვიპტეში, საბერძნეთში, ამერიკის კონტინენტზე, იაპონიაში...

1973 წლიდან დადგენილი საქართველოში რამდენიმე გუნდი შეიქმნა, მაგრამ სათანადო ბაზის უქონლობისა და უწყურადღებობის გამო ახლა მოზარდობა მხოლოდ ერთი გუნდი გვყავს — ქუთაისის „ლოკომოტივის“ ვაჟთა გუნდი, თბილისში, ბათუმში და ლანჩხუთში კი ჰაბუტა რამდენიმე კოლექტივია, ეს არის და ეს...

„ლოკომოტივი“ უკვე 1973 წელს მიიღო წარმატებას — ახლად შექმნილი გუნდმა საქართველოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. სტარტი დიდი წარმატებით გამოდგა. ქუთაისელმა ჰოკეისტებმა პირველი ადგილი დაიკავეს და პირველ ლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს. აქ მათ 1974 წელს მე-8 ადგილი დაიკავეს, 1975 წელს — მე-6, 1976 წელს — მე-7, 1977-1978 წლებში კვლავ მე-6. 1979-1982 წლებში — მე-8, 1983-84 წლებში I ლიგაში ქუთაისის „ლოკომოტივის“ ნაცვლად თბილისის არმიელთა გუნდი გამოდიოდა. დიან, ქუთაისის გუნდი საქართველოს არენაზე ერთხანს აღარ გამოდიოდა, მაგრამ ამ სამი წლის წინ თემურ არჩაიას, ჯუმბერ კერესელიძისა და ჭიჭიკო ბაზაძის ინიციატივით ყველაფერი თავიდან დაიწყო. 1984 წელს მეორე ლიგის 18 გუნდს შორის „ლოკომოტივი“ მე-5 ადგილი დაიკავა და კვლავ მოიპოვა პირველ ლიგაში თამაშის უფლება. ჩვენმა ჰოკეისტებმა 12 გუნდს შორის მეექვსე ადგილი დაიკავეს. თუ იმ პრობლემებს გავითვალისწინებთ, რომელთა წინაშე „ლოკომოტივი“ აღმოჩნდა, გამოცდილ მეტოქეებთან ჰიდილო მოპოვებული მეექვსე ადგილი გარკვეულ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ.

გუნდმა წელს მეთერთმეტე ათლო სტარტი I ლიგაში, თუმცა ჩვენს ჰოკეისტებს მიმდინარე სეზონში უფრო მეტად გამოვლიდა ელით — სწორედ „ლოკომოტივის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს ბალახის ჰოკეისტ ვაჟთა ნაკრები, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა IX სპორტაპიადზე იასპარეზებს...

ახლანან ნაკრებს მუხნარის ტყეში, ტურბანა „რონიში“ ჰქონდა საწვრთნელ-სასწავლო შეკრება და გუნდი უფროსი მწვრთნელის თემურ არჩაიას ხელმძღვანელობით გულმოდგინედ ემზადებოდა სასპორტაპიადო ტურნირისათვის, რომელიც სექტემბერში მოსკოვში ჩატარდება. ჩვენი საუბარიც იქ შედგა...

თემურ, მოდი ის გავიხსენოთ, წინა სპორტაპიადებზე როგორ იასპარეზებდით ქართველმა ჰოკეისტებმა.

ბალახის ჰოკეი სსრ კავშირის ხალხთა სახალხო სპორტაპიადების პროგრამაში პირველად 1979 წელს შეიტანეს. მაშინ VII სპორტაპიადზე ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა X ადგილი დაიკავა, ხოლო ოთხი წლის შემდეგ VIII სპორტაპიადზე

სამტრედიამი. მონაწილეობა მივიღეთ ლენინგრადში გამართულ საქვემოთ ტურნირში, რომელშიც უმადლესი ლიგის გუნდებიც გამოდიოდნენ. ბოლო შეკრებას ჩავეტარებთ მოსკოვში, სადაც 1-16 სექტემბერს ტურნირი უნდა მოეწყოს.

იმის გამო, რომ საქართველოში ბალახის ჰოკეის აღორძინება მხოლოდ გასული წლის დამლევს დაიწყო და ამჟამად მოზარდობა გუნდი მხოლოდ ქუთაისს ჰყავს, ბუნებრივია საქართველოს პირველობები არ ტარდება. არც IX რესპუბლიკური სპორტაპიადის პროგრამაში იყო ბალახის ჰოკეის შეტანილი. ნაკრების ხელმძღვანელებს საშუალება არ გვქონდა სწვრთნელი თამაშები ჩავეტარებინა, ჩვენი ავღეშით და ვადაწყვეით: ნაკრების კანდიდატები „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში გამოვყვინდა. იმის გამო, რომ

კ. ოყრეშიძე, ა. წერეთელი, გ. მკვირვაძე, ზ. მიქაბერიძე, ს. ბიწაძე, შ. ნუცუბიძე, ლ. გვეტაძე, ბ. მერტრევილი, ვ. და ზ. ლათიაშვილები, ლ. კირთაძე. აგრეთვე პერსპექტიული თბილისელი და ლანჩხუთელი სპორტსმენები — მ. ჭიჭიკო, ტ. მიქელთაძე, გ. მჭედლიძე, ზ. თოფურია და ზ. მუხანაძე. მოსკოვში გამართული შეკრება გვიჩვენებს 24 კანდიდატიდან ვინ დაიკავებს საბოლოოდ საქართველოს ნაკრების ლიდრებს. გუნდის უფროსი არჩილ რუხაძე, მწვრთნელები — ჭიჭიკო ბაზაძე და მამუკა ფულარია. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მადლობა გადავუხადო ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელებს ჯ. კერესელიძესა და რ. აბალობელს. მათ დიდი სისულელოთი მუშაობა ჩაატარეს.

რა პრობლემები გადგებათ აშუამდ გუნდის ხელმძღვანელებს?

ერთი ნაბიჯი გადავდგით წინ და IX ადგილი დავიკავებთ.

თუ ასეთი სულისკვეთებით გააგრძელებთ, წლებადნელ სპორტაპიადებში ალბათ, რვა უძლიერეს გუნდს შორის მოხვდებით.

ვაპირებთ, მაგრამ ექვსისურით ქვეყნულში ძალიან ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწევს ბრძოლა. ესენი არიან რსფსრ-ის, ლენინგრადისა და ლიტვის გუნდები. რუსეთის ფედერაციის ნაკრები სვედრლოვსკის არმიელთა გუნდის ბაზაზე

ჩამოყალიბებული. ეს კოლექტივი კი საქვემოთ ჩემპიონატების მრავალჯერ ვერცხლის პრიზორია. ლენინგრადელი ლიდრებს პირველი ლიგის ერთ-ერთი ლიდერი „ვოლნა“ დაიკავს. ფინალურ ჯგუფში ქვეყნულში პირველ-მეორე ადგილებზე გასული კოლექტივები გადიან, ასე რომ, ჩვენი მიზანია ვაჭოთოთ ლიტველებსა და ლენინგრადელებს და რვა უძლიერეს გუნდს შორის მოხვდეთ. ეს ამოცანა რთულია, ვინაიდან ლენინგრადელები ვარჯიშსა და კონკრეტულ შეხვედრებს ხელოვნურად არიან მინორზე ატარებენ, რაზეც ჩვენ ჭრჭერობით ოცნება თუ შეგვიძლია, სასპორტაპიადო ტურნირი კი სწორედ ასეთ ხელოვნურსაფარიან მოედანზე, გაიმართება.

როგორ მიმდინარეობს მზადება?

1985 წლის ნოემბრის შემდეგ, როდესაც საქართველოს ნაკრები ჩამოყალიბდა, სამი შეკრება ქუთაისში მოეწეეთ, ორი —

სპორტაპიადში მონაწილეობა ასაკი განსაზღვრულია (1963-69 წლებში დაბადებულნი), „ლოკომოტივის“ ძირითად შემადგენლობას 9 მოთამაშე გამოაკლდა. ანა ძირითადი საბაზო გუნდი „ლოკომოტივის“ ახალგაზრდული შემადგენლობაა. თუმცა აქაც ბევრი პრობლემა გადისაქრელი. სხვა გუნდები ძირითადად 1963-64 წლებში დაბადებული სპორტსმენებით არიან დაკომპლექტებული. ჩვენ 1963 წელს დაბადებული მხოლოდ სამი ჰოკეისტი გვყავს. გუნდში ძირითადად 1968-1969 წლებში დაბადებული ჰაბუტები არიან.

ნაკრების შემადგენლობაზე რაღას გვეტყვი?

როგორც მოგახსენეთ, ნაკრების შემადგენლობაში ძირითადი ქუთაისელი ჰოკეისტები არიან. გამოცდილ მ. ჯოჯუასთან, ს. მაისიშვილთან და ა. ჯანგაძესთან ერთად ენერგიულად ვარჯიშობენ: შ. როხვაძე, რ. ბიჭირაძე, ა. მილოვი, ზ. ჩარკვიანი, გ. თორღია,

მართალია ნაკრები გუნდის წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში დიდ დახმარებას გვიწვევს საქართველოს სპორტსაკრების სპორტული თამაშების განყოფილება, სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ საზოგადოება და უმაღლესი სპორტული დოსტატების № 1 სკოლა, მაგრამ ბალახის ჰოკეის განვითარება საქართველოში მაინც ნელი ტემპით მიმდინარეობს. როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად არ ტარდება საქართველოს პირველობები, ეს მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის 13 რესპუბლიკაში პირველობა 10-12 გუნდს შორის ორ წრედ ტარდება. როგორც უკვე ვთქვით, ბათუმში, ლანჩხუთისა და თბილისში არის ჰაბუტთა გუნდები. ასეთივე გუნდები რომ ჰყავდეთ სოხუმში, ფოთს, გორს, სამტრედიას, წყალტუბოს, რუსთავს, მაშინ, ალბათ, სპორტაპიადზე უკეთესი ადგილებისათვის ვიბრძობდებით. აქვე „წვილიან“ ვსაქრებ ვიტყვი ორ სიტყვას



„მზანე ჰოკეი“ და მზანე პრობლემები

საქრო რაოდენობით ვაქვს სპორტული ფორმა და ვენტარი, თამაში წესები ქართულ ენაზე და ა. შ.

1986 წლის მესამე კვარტალში ქუთაისში დამთავრდება ხელოვნობისა და სპორტის მინისტრის განკარგულებაში მყოფი ბალახის ჰოკეისტთა ოსტატობის დენის ამაღლებას და იტის, მდიდარი სპორტული ტრადიციების მქონე ქუთაისი ბალახის ჰოკეის რესპუბლიკურ ცენტრში კი იქცეს. დროა შევიქმნას ბალახის ჰოკეის რესპუბლიკური ფედერაცია. მისში შემდგარ კოლეგის ხელმძღვანელებს სსრ სპორტსაკრების ხელმძღვანელებს ვადავებოდა დახმარებას, და ჩვენ ამ ზრუნვის პასუხად ვეცდებით თავი არ შევიტყვინოთ: სპორტაპიადზე ფინალურ ჯგუფში მივხვდეთ, „ლოკომოტივი“ კი რა რეულ ლიგაში შარშანდელი ადგილი შეინარჩუნოს.

თამაზ ხარაბაძე („ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი). ქუთაისი.

სასპორტაპიადო ტურნირისთვის ემზადება საქართველოს ბალახის ჰოკეისტთა ქალთა ნაკრები სპორტაპიადისთვის ცენტრალიზებული მზადების პროგრამით გუნდმა პირველი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება ბათუმში ჩაატარა. ბათუმში მარტო თბილი კლიმატისთვის არ აღურჩევიათ — რესპუბლიკის ნაკრები აქარელი სპორტსმენების ბაზაზე დაკომპლექტებული (12 სპორტსმენი). მათთან ერთად სპორტაპიადისთვის ემზადებიან თბილისელი (5), ქუთაისელი (2), სოხუმელი (1) და ლანჩხუთელი (1) ქალთა გუნდები. ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ბათუმელი ზ. მკვირვაძეა.

სპეციალისტთა აზრით, სპორტაპიადზე გამოსვლა ვაქვებზე მეტად ქალიშვილებს ვაუქრებოდა და აი, რატომ: ორი წელია, რაც მათ მონაწილეობა არ მიუღიათ რესპუბლიკურ თუ საქვემოთ შეკრებებში და გამოცდილება აკლიათ. არადა, სასპორტაპიადო ტურნირის შესარჩევ ქვეყნულმა ძალზე ძლიერი მეტოქეები ჰყავთ. ლიტვის გუნდში უმაღლესი სპორტსმენები არიან (შარშანდელთა მათი საქვემოთი თამაშის გათვალისწინებით). საქართველოში გაიმარჯვებს, სომხეთის ნაკრებიც უმაღლესი ლიგის გუნდში მათამაშე ჰოკეისტებით არის დაკომპლექტებული, მოლდავეთის ნაკრები კი პირველ ლიგაში მოსპარევე სპორტსმენებისგან შედგება, ასე რომ, კვივში 7 სექტემბრიდან ჩვენს ჰოკეისტ ქალთა მინელი გამოცდა ეწყებათ.

Advertisement for 'სინარბე და უპასუხისმგებლობა...' (Sinarebe and Responsibility...). The ad features a large title and several columns of text. It discusses the importance of responsibility and the consequences of negligence. The text is written in a bold, sans-serif font. At the bottom, there is a logo for 'სინარბე' and the name of the publisher, 'სინარბე და უპასუხისმგებლობა'.

ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისათვის

ილია ჭავჭავაძის შურნალმა „საქართველოს მოამბემ“ მხოლოდ

ერთ წელიწადს (1863 წ.) იარსება. შურნალის რედაქციას დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, საქაოლ დიდი, კეთილშობილური და პროგრესული მიზნები ჰქონდა, ბევრის გაკეთება მოახწრო შურნალმა, ის კი, რაც უთქმელი დარჩა, ითქვა გაზეთ „დროების“ ფურცლებზე, რომელიც 1866-1885 წლებში გამოდიოდა და რომელსაც სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ გამოჩენილი მოღვაწენი — გ. წერეთელი, ს. მესხი, ი. ჭავჭავაძე, კ. ლორთქიფანიძე და დ. შარბელი.

პარმონიული აღზრდის საკითხებზე გაზეთ „დროებაში“

„დროებაში“ უფრო გარბედა, დაიხვეწა და გამოიკვეთა გასული საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შეხედულებანი ფიზიკური აღზრდის საკითხებზე, რომელთაგანაც ერთ-ერთი მთავარი იყო გონებრივი და ფიზიკური აღზრდის პრობლემა. მომავალი თაობის პარმონიული აღზრდის საქმეში „საქართველოს მოამბის“ ლოზუნგად ქვეყნულ კრედიტს — „ჩვენი სხეული უნდა იყვეს ღირსეული ქურქული ღვთის სულისა“ — არც „დროებამ“ უღალატა, პირიქით, მეტიერულად განამტკიცა იგი.

როდესაც ხანში შევლენ, აღარ შეუძლიათ სხვის რასმეს მოკიდონ ხელი, დღე და ღამე ცხენი და თოფ-იარაღი ესისმრებათ“ (1883, № 14). ნათელია, რომ გაზეთ „დროებას“ მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშით ბრმად ვატაკვება ეროვნული უბედურების მიზნად მიანიხი.

კორესპონდენტების, რომლებიც ამხელდნენ ადგილობრივ სკოლებში ფიზიკური აღზრდის სასარგებლო თუ ნაკლოვან მხარეებს, აკრიტიკებდა ისეთ სკოლებს, სადაც „ტანის გამაგრებელი, სალი საზრდოს მაგიერ იკვებებოდნენ წუთის-სოფლის დაშორებულის, შორსმდებრივი ფანტაზიით“ (1880, № 234); ამასთან, გაზეთი დიდ ადგილს უთმობდა ზოგიერთი მასწავლებლის კარგი მუშაობის განხორციელებას. ჩემი მიზანი ის იყო, — იწერებოდა, მაგალითად, ერთი მასწავლებელი, — რომ ყმაწვილები წაენებოდა და ფიზიკურადაც გახსნილიყვნენ. მართლაც, თითის სიგრძე ბავშვები ისე გათამამდნენ, ისე გაიხსნენ ორი წლის განმავლობაში, რომ სასამოვნო იყო მათი ნახვა“ (1877, № 43). მეორე კი

აღზარდა აღამიანი!

ლოდ გონებრივი ვარჯიშით ვატაკვებას და ფიზიკური ვარჯიშის მიფიქრებას. „მაშინ, როდესაც, — ვითხულობთ 1867 წლის 37-ე ნომერში, — ჩვენ გვეჩივრება იმგვარი კაცები, რომელთაც ყოველს შემთხვევაში გამოსადევნი იყენენ. ჩვენს საუკეთესო ყმაწვილს თაობას შეუწირავს თავი მარტო წიგნებისათვის და წიგნებს იქით არა საქმეში გამოსაყენებლნი არ არიან. ჩვენ ქართველებს მოგვამებს თავი ვეჯავცობითა და ვეჯავცობა დღითი დღე გამოდის ჩვენის გულისად და მალე ჩვენ თვითონ ჩვენს ჩრდილისვე გვეშინება. ჩვენ აღარ ვარგავთ არაღაც სროლაში და ბევრს ჩვენგანს თოფი ხელში არც აუღია, აღარც ცხენოსნობაში, აღარც ქვეითათა, არც ხმალი და არაფერს სამხედრო საქმეში... მარტო ერთგვარ საქმეზედ დგომა კაცისაგან მავნებელია და ყმაწვილებისათვის მარტო ერთი საქმის ცოდნა ხომ გროზოდ არა იორს. ჩვენ მარტო წიგნებში ვერ გვაცობებენ, როგორც ვერ ვიჩივრებთ უწინაურათა, ჩვენ გვიკვირს ჯანის სიმართლეცა, ყმაწვილობაცა და სხვ. ამის გამო ჩაიხი სამეცადინო მარტო წიგნი არ უნდა იყვეს“. ადვილი შესამჩნევია, რომ ამ წერილში, ისე როგორც სხვა კორესპონდენტებში, ფიზიკური აღზრდის იგნორირება მიხედულია როგორც ცალკეულ ადამიანთა, ისე მთელი ერის დაკნინების, ქვეყნის სამხედრო ძლიერების შესუსტების მიზეზად. ამდენად, გაზეთმა „დროებამ“ ახალგაზრდობის აღზრდის, კერძოდ ფიზიკური აღზრდის პრობლემა უმაღლეს სოციალურ მიზნებს დაუკავშირა და დაუქვემდებარა.

რომ არც ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდა იქნეს დღევანდელი. გაზეთის გამოცემის მეორე წელს რედაქტორმა გ. წერეთელმა ამგვარი პასუხი გასცა ზნეობით დასმულ კითხვას: „თუ ფიზიკურს მხარეს მიაქცევთ მომეტებულს ყურადღებას, თქვენ დაპაბლებთ ატლეტს ან ველურ კაცს, და თუ სულიერი მხარის განსნას ეცდებით, თქვენ აღზრდით იდეალისტს, ხოლო უკეთუ მოიწოდებთ მარტო გონების განსნას, მაშინ თქვენი მოწაფე შეიქნება ან უგუნური და ან ქუდიანი შეშლილი. ნამდვილად გახათლებული კაცი ის არის, რომელიც იმის ბუნების ყოველი მხარე განსწილია და ერთმანეთთან ისე არიან შეთანხმურებული, რომ ერთი მხარე არ დასძლევს მეორეს“ (1867, №22).

რედაქციას აცნობებდა, რომ გონებრივ განათლებასთან ერთად ბავშვები ჩააბა ტანჯვარში და ტურისტულ ლაშქრობებში. სხვები იწერებოდნენ, რომ ბავშვთა აღზრდაში ფართოდ იყენებდნენ ხალხურ თამაშობებს და ა. შ.

იმავ დროს „დროებამ“ მკაცრად აკრიტიკებდა მათ, ვინც მოითხოვდა მთელი ყურადღების მხოლოდ ფიზიკურ აღზრდაზე გადატანას. აი, ნაწყვეტი ერთი წერილიდან: „ლუჩხუში როგორც თავდაზნაურობას, ისე გულგნობას მიუქცევით ზურგი სწავლა-განათლებლისათვის და თავს არ იწუხებენ იმაზე, რომ მათ შეიძლება ცოტაც არის მაინც სწავლა მიიღონ. სასიყვარულოდ მიანიხი, თუ მათი შეილება გამოვლენ კარგი ცხენოსნები, სწრაფი და თოფ-იარაღის მხმარებელნი. თოთხმეტ-თხუთმეტი წლის რომ შეიქნება აქაური ბავშვი, მაშინვე ცხენოსნობას და თოფ-იარაღს მოკიდებენ ხელს. აი, ამისაგან წარმოსდგება, რომ იმით,

საინტერესოა, რომ პარმონიული აღზრდის პრობლემა გაშუქებისას „დროებამ“ სწორად იშველიბდა ცნობილი საზღვარგარეთელი მეცნიერების აზრებს და ამით საფუძველს უმაგრებდა თავისი აკრიტიკების ნაზარეს. გაზეთში ვხვდებით ედუარდ ლაბუეს, ბენის, სენიერის, მილის, დარვისის და სხვათა შეხედულებებს გონებრივი და ფიზიკური აღზრდის ერთიანობაზე. „სხეული, ქეუა და გული — აი, მთელი კაცი, — ვკითხულობთ ერთგან (1867, № 38), — აი, თუ შეიძლება ვთქვათ, ის კაბიტალი, რომელიც თვითულის ჩვენგანს გამოჰყვება იმ დღესვე, როდესაც ის ქვეყნად იბადება“. კაცის სულიერი და ხორციელი მოვლენებანი, ვკითხულობთ მეორეგან (1877, № 12), — მეტად ახლოს შეკავშირებულნი და ერთმანეთზედ გადაბმულნი და საზოგადოდ მათ შორის არაფერი არსებობს გარჩევა არ სუფევს, ამის გამოისობით მიცირდება გარჩევა თვით იმ საშუალებათა შორის, რომელიც იმპირიბიან სულის და ხორცის საზრდელად და საეარჯიშოდ“.

გაზეთი „დროება“ შეახსენებდა აღმზრდელთ, ოჯახის უფროსებს, რომ ფიზიკური ვარჯიშობა „არამც და თუ მარტო ფიზიკურად, სულიერადაც ავარჯიშებს და ამაღლებს კაცის ბუნებას“ (1883, № 169), რომ „სპეციალისტ-სწავლულის შრომის ნაყოფი დამოკიდებულია იმის სხეულზედ და სიმართელზედ. მართლაც და მაგარი გული ისე რგათ არის საქართველსა და სხვადასხვა ეროვნებას, რომ ერთი მხარე აცნობის, როგორცაც განათლებული გონება“ (1884, № 16).

ეგრის კეთილდღეობისათვის მებრძოლ გაზეთს, მის პროგრესულ რედაქტორებს და პირველ რიგში კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურს ი. ჭავჭავაძეს, არ შეეძლოთ დაქვემოფილებულიყვნენ მხოლოდ ზოგად-თეორული მსჯელობით და არ დაინტერესებულყვნენ ამ შეხედულებათა პრაქტიკაში დანერგვით. გაზეთი სისტემატურად ბეჭდავდა

გაზეთი „დროების“ შეხედულებანი ახალგაზრდობის პარმონიული აღზრდის, ფიზიკური ვარჯიშობისა და სპორტის საკითხებზე შემდგომში განავრცეს და განავითარეს ჯერ შურნალმა „ივერიამ“ და შემდეგ იმავე სახელწოდების გაზეთში, რომელსაც დიდი ილია რედაქტორობდა.

გაზეთი „დროების“ შეხედულებანი ახალგაზრდობის პარმონიული აღზრდის, ფიზიკური ვარჯიშობისა და სპორტის საკითხებზე შემდგომში განავრცეს და განავითარეს ჯერ შურნალმა „ივერიამ“ და შემდეგ იმავე სახელწოდების გაზეთში, რომელსაც დიდი ილია რედაქტორობდა.

— ანთანდილ ციგაძე.

საქართველოს საერთაშორისო

გულშემატკივარს იმ წამს შემოღდა

როგორც ადრე ვიწუებოდით, ახლანან საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტში გაიმართა კოლეგიის სხდომა, რომელშიც იმხველა სსრ კავშირის ხალხთა IX სპორტკავადის ფინალურ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობის შედეგებზე.

შექმნეს აუცილებელი პირობები, რაც უზრუნველყოფდა დასახული მიზნის უთუოდ შესრულებას. კოლმეტიანი გუნდის უფროსი მწვრთნელის ჯ. ჯანაშვილის ბამოსპლიდან: „მას შემდეგ, რაც ჩვენმა ნაკრებმა ფინალურ ჯგუფში 8 უძლიერეს გუნდს შორის ასპარეზობის უფლება დაკარგა, მივხვდი, რომ მუადემაში სერიოზული შეცდომები გვექონდა დაშვებული, მარტო მონდობებამ საქმეს ვერ უშველა, მოვიხსენებდით თამაშის ხარისხში. დაპირებები უსაფუძვლოდ გამოდგა“.

როგორც მიღებულ დადგენილებაში ნათქვამი, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ფინალურ ჯგუფში უნდა გასულიყო და შემდეგ ებრძოლა ერთ-ერთი საპრიზო ადგილის მოსაპოვებლად. ნაკრებს ყოველგვარი პირობები ჰქონდა შექმნილი წინასასპარტაკიადო პერიოდში უკეთ მოსამზადებლად, მიუხედავად ამისა, გუნდმა ვერ შეასრულა დასახული ამოცანა. მეტიც, იასპარეზა ძალზე სუსტად და ვერც ერთი ქულა ვერ მოუტანა საქართველოს სპორტულ დედეგაციას (მეოთხელებს შევხსენებთ, რომ გუნდს II საპრიზო ადგილზე გასვლა და 120 ქულის მოპოვება ჰქონდა დაგეგმილი).

კოლეგიის სხდომაზე მკაცრად მოკლებს სპორტსაქმის ფეხბურთის სამმართველოს მუშაკებს. ისინი დრმად არ ჩანსვენდნენ სასწავლო-სპორტული მუშაობის პროცესს, გაწეული მუშაობის შეფასებისას არ იჩენდნენ საქმისადმი პრინციპულ დიდგამას, სამმართველოს მხრიდან უკონტროლობამ და ხელშიშველულობამ შექმნა მოჩვენებითი კეთილდღეობა, ნაკრების ხელმძღვანელებს გაუჩინდათ გუნდის შესაძლებლობების უსაფუძვლო რწმენა, სამმართველო უნდებდა ენდობოდა მწვრთნელთა საქმს.

სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე, როცა გუნდის მზადების მიმდინარეობა სპორტსაქმში კოლეგიაზე განხილეს, უფროსმა მწვრთნელმა ჯ. ჯანაშვილმა განაცხადა, რომ ნაკრების 63 კანდიდატი მთელი მონდომებით ემზადება, მათთან მწვრთნელები მუშაობენ ინდივიდუალური გეგმით და ამ გეგმის შესრულება პერიოდულად მოწმდება, რომ მწვრთნელები ხელმძღვანელობენ სპეციალური რეკომენდაციებით, ხოლო ორგანიზაციულ საკითხებს სპეციალური კომისია ოპერატიულად წყვეტს და ა. შ. ამონაწერი კოლმეტიანე წარმომადგენელი ცნობიდან: „გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ჯ. ჯანაშვილმა ვერ უზრუნველყო გუნდის სრულფასოვანი მომზადება, ვერ შეინიშნა ხარვეზები, ადრე გამართულ კოლეგიის სხდომაზე მან გვერდ აღაურა მწვავე საკითხებს, რომელთა გადაჭრა აუცილებელი იყო გუნდში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, დაშვებული იყო შეცდომები თითოეულ ფეხბურთელთან აღმზრდელობით მუშაობაში“.

ამ საქითის განხილვასთან დაკავშირებით კოლეგიის გადაწყვეტილების შესახებ ჩვენი გაზეთი ადრე უკვე იტყობოდა (იხ. „ლელო“ 27 ივლისი, 1966 წ.). დადგნით, რომ კოლეგიამ რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდთან არაკვალიფიცირებულ მუშაობისათვის, რამაც გუნდის წარუმატებლობა გამოიწვია, ნაკრების უფროსს მწვრთნელს ჯ. ჯანაშვილს და მწვრთნელს თ. ცერცვაძეს გამოუცხადა სასტიკი საჯურული. სპორტული სასჯაადრებების „დინამოს“, „განთიადის“, „ლოკომოტივის“, „ზენიტის“, ხელმძღვანელებს დევდავთ განიხილონ სასპარტაკიადო ტურნირში ნაკრები გუნდის შემადგენლობაში თავიანთი სპორტსმენების არადამაკმაყოფილებელი გამოხვედის საქითი და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება.

„ლელო“ გამოსვლის კვლავი

სად არის დაპირებული მოედანი?

ჩვენ მესამედ ვუბრუნდებით ამ საკითხს. ღაპარაკია დაბა კოქრის სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილ სპორტულ მოედანსა და დარბაზზეზე. წელულს გაუზავდულზე კოქრელმა ახალგაზრდებმა შეგატაკობინეს, რომ დაბის ძველი მოედანი მშენებლობას შეეწირა, ახლის მოწყობა კი იანაურდება. უმატრონდაა მიტოვებული ძველი სკოლის სპორტული დარბაზი. გადავწყვეტეთ ახალგაზრდებს დავხმარებოდით და მიმდინარე წლის 15 მარტის ნომერში რუბრიკით „ლახტის წრეში“ კრიტიკული მასალა გამოვაქვეყნეთ. პასუხად ვარდამნის სახალხო დებუტატთა რაიონბჭოს აღმასკომის წერილი მივიღეთ. როგორც აღმასკომის თავმჯდომარე ა. დაშაძირი გვატყობინებდა „დაისახა შესაბამისი ღონისძიებები კოქრის საშუალო სკოლის მარტივი ტიპის სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია-გაფართობის საშუაობების დასაქარებლად, განათლების განყოფილებას და კოქრის სადაზო საბჭოს აღმასკომს დავალოა მიმდინარე წლის მისის ბოლომდე დაამთავრონ ეს საშუაობები“.

ჩვენც კოქრის იმ იმედით ვეწვიეთ, რომ კეთილმოწყობილ და გაახლებულ მოედანს ვნახავდით, მაგრამ სად არის დაპირებული მოედანი (?!). მართალია, სკოლის ეროვნულ მოუხსრობათა, მაგრამ იქაურობას სპორტული მოედნისა არაფერი უავს. აღმოჩნდა, რომ სპორტული დარბაზისთვის საერთოდ არ უხდიათ ხელი. კოქრის სადაზო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მონადგემო ავთანდილ მარღიშვილმა თავი იმართლა: რა ვქნათ, მეტი ვერ მოვასწარიო.

ერთი ხიჯუთი, რედაქციისა და აღმასკომის ჩარევის შემდეგ საქმე თითქმის ადგილიდან დაიპარა და

ბოლოს გვიანდა ვიკითხოთ, კიდევ როდემდე გარბილდება გულგრილობა?

დე. რობელიძის არასოდეს დაავიწყდებათ

დე. რობელიძის ემასოვრებათ ეს დღე განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წყნეთის ბიონერთა ბანაკ „ციცისკრის“ (დირექტორი თამაზ სვანიძე) ბიონერებს. გულმოდგინე მათ ბანაკში ეწვევინ სპორტის ვეტერანები: სპორტის დამსახურებული ოსტატები ელენე გოციელი, გიორგი ანთაძე, დიმიტრი იოსელიანი, სპორტის ოსტატი ალექსანდრე ბლაგიძე, მათთან ერთად იყო ახალგაზრდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი კარაოვი ზურაბ სტურუა. მრავლისმანაველი სტუ-

მრები მეტად ააღვლეა მასპინძელთა გულმოდგინე შეხვედრამ: ბავშვებმა წითელი ყელსახვევები გაუკეთეს სტუმრებს. ხაზზე მდგარ ბიონერებს ვეტერანების სახელით მიესალმა დიმიტრი იოსელიანი. შემდეგ სტუმრები საერთო ფერხულში ჩაებნენ. ნორჩმა მოცეკვავეებმა საცეკვაოდ გაიწვიეს ელენე გოციელი და გიორგი ანთაძე. თითქოს ჯადოქარმა ყოფოს შემძლე ჯოხი აქწინათ, ვეტერანებს წლები გადავიწყდათ და ხალისით გაჰყვეს ნორჩებს წრეში. ბავშვებმა თამაშში („მხიარული ფეხბურთ-

ლი“) ჩააბეს გიორგი ანთაძე, სახეზე ოლეგ პოპოვის ნიღაბი ააფარეს და სამჯერ შემოატრიალეს, მაგრამ ნაცადმა ფეხბურთელმა ბურთი მაინც მოებნა და ფეხი დაატრყა.

მერე ძაფის ახვევაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს — თამაშის წესი ასეთია: მოწინააღმდეგეები ძაფის სხვადასხვა მხარეს დგანან და ცდილობენ რაც შეიძლება სწრაფად დაახვიონ ჯოხზე ძაფი. გამარჯვებული ის, ვინც სხვეზე ადრე მიალწევს ძაფის გაკანძულ ნაწილს. ქალბატონი ელენეს ძველი წრთობა გა-

მოადგა და თვალსაჩინო უპირატესობით დაამარცხა ბანაკის ჩემპიონი.

ექვს საჭადრაკო დაფაზე მოუწია ბრძოლამ ალექსანდრე ბლაგიძეს, ვეტერანმა ერთი პარტია წააგო (ბიონერთა რაზმის ხელმძღვანელ პაატა ქურციკიძესთან), ერთი ფრედ დაამთავრა და დანარჩენი მოიგო.

სპორტულმა შეჯიბრებებმა გვიან საღამომდე გასტანა.

ჯემალ კასრაძის ტექსტი და ფოტო.



„მეანაკლი“, „ლიპობივი“, „შეპარდენი“...

2 და 3 აგვისტოს გაიმართა უმაღლესი ლიგის რეგისტრაცია საქავშირო ჩემპიონატის „ა“ ფინალური ჯგუფის მორიგი ტურის მატჩები.

ქუთაისის „მშენებელი“ ალმათაში ადგილობრივ არმიელთა გუნდთან ორივე შეხვედრაში დამარცხდა — 6:19 და 0:21. დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა: კიევის „ავიატორი“ — მოსკოვის „სლავა“ 9:6, 15:17; კრასნოიარსკის ეტს — სსა (მონინო) 12:21, 15:24, მოსკოვის „ფილი“ — მოსკოვის „ლოკომოტივი“ 12:9, 16:7.

დღეისათვის „ა“ ფინალური ჯგუფის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|--------------|----|----|----|----|----|
| „სლავა“ | 25 | 20 | 2 | 3 | 67 |
| სსა | 24 | 20 | 1 | 3 | 65 |
| „ლოკომოტივი“ | 25 | 18 | 1 | 11 | 52 |
| „ავიატორი“ | 25 | 18 | 1 | 12 | 52 |
| ასკ | 25 | 18 | 1 | 11 | 52 |
| „ფილი“ | 25 | 12 | 1 | 12 | 50 |
| ეტს | 25 | 9 | 1 | 15 | 44 |
| „მშენებელი“ | 24 | 7 | 1 | 16 | 39 |

დასრულდა „ა“ ფინალური ჯგუფის ტურნირის პირველი ნახევარი. ახლა ჩემპიონატში 30 აგვისტომდე ცხადდება შესვენება. 9-დან 17 აგვისტომდე მოსკოვში გაიმართება ტრადიციული ტურნირო საბჭოთა კავშირის რეგისტრაციის ფედერაციის პრიზზე. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ არგენტინის, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის (ორი) ნაკრები გუნდები. 21 და 23 აგვისტოს ხარკოვში ჩატარდება საქავშირო თაის მე-12 გათამაშების ნახევარფინალური და ფინალური მატჩები (ნახევარფინალში ითამაშებენ „ავიატორი“ — „ლოკომოტივი“ და სსა — „ფილი“).

„ბ“ ფინალური ჯგუფის მონაწილეობაში პირველი წრე დასრულეს და სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ:

| | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|--------------------|----|----|----|----|
| „პრიორიტი“ (ლენ.) | 6 | 0 | 1 | 19 |
| „ელექტრ.“ (ტირ.) | 5 | 0 | 2 | 17 |
| „ლოკომოტი“ (თბ.) | 4 | 0 | 3 | 15 |
| „შევირდენი“ | 3 | 0 | 4 | 13 |
| „პოლიტექნიკი“ (კ.) | 3 | 0 | 4 | 13 |
| „სოკოლი“ (ლვოვი) | 3 | 0 | 4 | 13 |
| მსი | 2 | 0 | 5 | 11 |
| „სპარტაკი“ (მ.) | 2 | 0 | 5 | 11 |

ამ ჯგუფში შეჯიბრება 16 აგვისტოს განახლდება და 28 სექტემბრამდე გასტანს. გუნდები ერთმანეთს კიდევ ორ-ორჯერ შეხვედრებიან ერთ-ერთი მეტოქის მოედანზე. მატჩების მასპინძლის ვინაობა პირველი წრის შედეგებმა გაარკვია. რაი თბილისის გუნდებმა ცხრილის ზედა ნახევარში დაიკავეს ადგილი, ოთხ მეტოქეს წინ ეთამაშებოდნენ, სამს კი — სტუმრად. გარდა ამისა „ლოკომოტივი“ — „შევირდენის“ მატჩებში მასპინძლობა „ლოკომოტივის“ ხელა წილად და ამიტომ „შევირდენი“ სეზონის ბოლომდე დარჩენილი 14 მატჩიდან 10-ს თბილისში გამართავს (ესტუმრება მხოლოდ ლვოვსა და ლენინგრადს). „ლოკომოტივის“ სტუმრად 6 მატჩის გამართვა მოუწევს (მსი-სთან, ტირასპოლში და კიევიში).

მეორე წრის პირველ ტურში 16-17 აგვისტოს „ლოკომოტივი“ უმასპინძლებს ლვოვის „სოკოლს“, „შევირდენის“ — კიევის „პოლიტექნიკს“.



მ. კასპაროვ — ა. კარაოვის მატჩ-რეჟანოს ირავლივი

ყურადღების ცენტრში

კასპაროვ-კარაოვის მატჩ-რეჟანოში სულ მეორე, კიდევ ორი თვის მანძილზე მაინც იქნება მსოფლიოს საბრტული პრესის ყურადღების ცენტრში.

მიმომხილველები ჩემპიონსა და ექსპერტს შორის სწორედ ეკითხებიან თუ რატომ ტარდება მათი შეხვედრა ორ ქვეყანაში. 1951 წლიდან მოყოლებული, მეტოქეები ხომ, როგორც წესი, ერთ ქალაქში თამაშობდნენ. კასპაროვი პასუხობს, რომ მან მხოლოდ ლენინგრადი დაასახელა, აქ აპირებდა იგი მთელი მატჩის თამაშს. რაც შეეხება ახლანდელ ვითარებას, „დეკორაციის“ შემდგომი შეცვლა და დროში სამსაათიანი სხვაობა არ შეიძლება გარკვეული დაბრკოლება არ გახდეს. თანაც, უპირატესობას ის მხარე მიიღებს, ვინც ამ დაბრკოლებას უკეთ გადალახავს. კარაოვი უარსაღივებს სხვაანობის პასუხობს. იგი მიუთითებს ფიდე-სტადიუმის მატჩებზე, რომელიც ამერიკიდან კრძალავს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ზედიზედ ორჯერ ერთ ქვეყანაში ჩატარებას.

ცნობილი იუგოსლავიელი მიმომხილველი, საერთაშორისო არბიტრი ბოილარ კაიჩი მეტოქეების შესაძლებლობებს ასე აფასებს: 53:47 კასპაროვის სასარგებლოდ. იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს, საიდან აიღო ტანიუგის მიმომხილველმა ასეთი შეფარდება, ყურადღება უნდა მივაქციოთ ახლანდელი მეტოქეების „ულოს კოეფიციენტი“ (კასპაროვი — 2740, კარაოვი — 2705). თუმცა თავად კაიჩი წერს: „ასეთი შეფარდება, რა თქმა უნდა, პირობითია. რეიტინგი ძალზე ცვალებადი რამ განლაგეთ, იგი ტურნირიდან ტურნირამდე „მოძრაობს“. რაც შეეხება კასპაროვსა და კარაოვს, უკანასკნელი წლების მანძილზე „რეიტინგის“ ხან ერთი მეტოქეობა ხოლმე სათავეში და ხან მეორე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ მატჩს შეკვეთად გამოხატული ფეოდალი არა ჰყავს და ყველაფერი მოჭადრაკეთა აქმიანდელ მზადყოფნაზე დამოკიდებული“.

ზოგი მიმომხილველი ყურადღებას აქცევს იმას, რომ კასპაროვმა მატჩიდან მატჩამდე სულ 12 პარტია ითამაშა (ერთი წააგო ტიმანთან), კარაოვმა კი — 41 (მანაც ერთი წააგო — სოკოლოვთან). რა თქმა უნდა, ჯერ ვერაფერს ვამბავს იმის თქმას, რომელი მეთოდი სჯობდა: კასპაროვისა, რომელიც მხოლოდ მატჩებს თამაშობდა, თუ კარაოვისა, რომელიც ხშირ სატურნირო გამოსვლებს არ ერიდებოდა. ეს, ცხადია, მოგვიანებით გაირკვევა.

კაიჩი წერს: „ტრადიცია ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის მხარეზეა, რადგან მატჩ-რეჟანოებს აქამდე სწორედ, ექსპერტებმა იგებდნენ, მაგრამ გადაწყვეტი მნიშვნელობა მაინც კონკრეტულ ვითარებას ექნება. კასპაროვი ჰადრაკის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონია, მომავალი სწორედ მას ეკუთვნის. კასპაროვის მუდმივი წინსვლა ყოველდღე ნათელი ხდება“.

ამასობაში მეტოქეებმა ყოველგვარი დახვედრის გარეშე დაწყეს ბრძოლა. თუმცა „დახვედრა“ რად სჭირდებოდათ, როცა ერთმანეთთან ამდენი პარტია აქვთ ნათამაშევი...

მეორე ადგილობრივი „ზენიტი“ და მინსკის „დინამო“. თამაში მოიგეს მინსკელებმა — 1:0.

გულმოდგინე ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე თბილისის დინამოელები შეხვედრენ დედაქალაქის „ტორპედოს“.

მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 2:1.

სსრ კავშირის თასზე ფახურთში მერვედფინალური მატჩები

4 აგვისტოს დაიწყო სსრ კავშირის საფეხბურთო თასის მერვედფინალური მატჩები. ეს არის ამ საპარტიო პრიზის 46-ე გათამაშება, რომლის დასკვნითი ეტაპის შეხვედრები გაიმართება მომავალი წლის გაზაფხულზე.

ლენინგრადში ერთმანეთს შეხვედნენ საქავშირო ჩემპიონატის ლი-

დერი ადგილობრივი „ზენიტი“ და მინსკის „დინამო“. თამაში მოიგეს მინსკელებმა — 1:0.

გულმოდგინე ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე თბილისის დინამოელები შეხვედრენ დედაქალაქის „ტორპედოს“.

მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 2:1.

რეჟანოვა პოსტოვა ნაპრუს

XIII მსოფლიო ჩემპიონატი ყველაზე გვიან არგენტინისა და დასავლეთ გერმანიის ნაკრები გუნდებისთვის დამთავრდა. შინ დაბრუნებულ დასავლეთგერმანელ ფეხბურთელებს აეროპორტში 10 ათასი გულშემატკივარი დახვდა. ნაკრების ზოგიერთი წევრისთვის (მათ შორის გუნდის კაპიტნის — კარლ-ჰაინც რუმენიგესთვის) ეს ჩემპიონატი უკანასკნელი იყო. მილანის „ინტერნაციონალს“ მოთამაშებ, 30 წლის რუმენიგემ ოფიციალურად განაცხადა, რომ ნაკრებს ტოვებს: „მართალია, ჯერ არც ისე ბებერი ვარ და შევძლებდი ვერობის 1988 წლის ჩემპიონატში მონაწილეობას, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე ნაკრების სახელით აღარ გამოვიდე“.

ვერობის „ოქროს ბურთის“ ორგზის მფლობელი 95 მატჩი აქვს ჩატარებული ეროვნულ გუნდში. „ნაკრებში ჩემი თამაში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მფლობელი მინდოდა დამეგვირგვინებინა. მომავებული მაქვს თითქმის ყველაფერი, რისი მომავებაც შეიძლება. ერთადერთი, რისი მოგებაც ვერ შევძელი, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულია“ — ამბობს რუმენიგე, რომელიც 1974 წლიდან ვერობის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში, მიუნხენის „ბაიერნში“ გამოდიოდა. სწორედ აქ დაიწყო რუმენიგეს საბრტული აღმასვლა.

„საუბარში რუმენიგე ერთობ მორიდებულია და, ამავე დროს, ძალზე სერიოზული. საკუთარი თავის მიმართ უაღრესად მომთხოვნია. ვარჯიშის დროს ისეთსავე დატვირთვას იღებს, როგორც კალენდარულ მატჩებში. რეჟიმის დარღვევა მისთვის წარმოუდგენელია“ — ეს სიტყვები ეკუთვნის რუმენიგეს ყოფილ თანაგუნდელს ჰანს



მიულერს. რუმენიგე ნაკრებისთვის იყო, რაც თავის დროზე ფრანკ ბეკენბაუერი. იგი მონაწილეობდა გუნდის თითქმის ყველა მატჩში, ყველა კომპანიცაში. შესანიშნავი დირიჟორია. თავისი საუკეთესო თვისებები მან გამოავლინა ვერობის 1980 წლის ჩემპიონატში, რომელიც დასავლეთ გერმანიის ნაკრებმა მოიგო.

პარანა და ვიერში

ცენტრალური ამერიკისა.

6 აგვისტო. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); საერთაშორისო შეჯიბრება ავტოსპორტში: „სოციალისტური ქვეყნების მეგობრობის თასი“ — 14.30 (2); საერთაშორისო შეჯიბრება სასტენდო სროლაში: „მოსკოვის დიდი პრიზი“ — 21.30 (2); მსოფლიო ჩემპიონატი ჰადრაკში: მატჩ-რეჟანო — 23.55 (1).

რედაქტორის მოადგილე მ. ბაჩიჩილაძე.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ., 14 ლეპეშინსკის-თბილისი, „ლელო“

ჩვენი მისამართი: სამდივნო — 93-97-52 ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53 წერილების განყოფილება — 93-97-55 „მართვი“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

83950 ინფორმაცია: 66485

საქართველოს კ. ც. კ. გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22-ე 07612